საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები 2019

15.10.2020
www.geostat.ge

15.10.2020

საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევის შედეგები

(2019 წელი)

2019 წელს საქართველოში საფინანსო მომსახურების საქმიანობით[1] დაკავებული 1958 საწარმო ფუნქციონირებდა, რომელთა დეკლარირებულმა შემოსავლებმა 5507,1 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან უდიდესი ნაწილი (76,0 პროცენტი) მიეკუთვნება საპროცენტო და მასთან გათანაბრებულ შემოსავლებს, 9,7 პროცენტი მოდის საკომისიოებზე, ხოლო დარჩენილი 14,3 პროცენტი სხვა სახის შემოსავლებზე ნაწილდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების სტრუქტურა 2019 წელს:

დიაგრამა №1

საფინანსო მომსახურების საქმიანობებით დაკავებული საწარმოების შემოსავლების სტრუქტურა 2019 წელს (%)



[1]საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016: განყოფილება 64 - საფინანსო მომსახურების საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების საქმიანობის გარდა; განყოფილება 66 - საფინანსო მომსახურების და დაზღვევის დამხმარე საქმიანობები).

2019 წლის დასასრულისთვის საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების სალაროში განთავსებული იყო 1889,6 მლნ. ლარი ნაღდი ფულის სახით.

2019 წლის ბოლოსთვის ფიქსირებული და არაწარმოებული აქტივების ნარჩენმა (საბალანსო) ღირებულებამ 2017,9 მლნ. ლარი შეადგინა.

2019 წელს საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 37,6 ათას კაცს, რომელთაგან 60,6 პროცენტი ქალი იყო.

2019 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ (პირდაპირი დაზღვევის საქმიანობის მიხედვით) გამომუშავებულმა პრემიამ (ბრუტო) 571,4 მლნ. ლარი შეადგინა[2], საიდანაც 38,2 პროცენტი სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდის, 14,8 პროცენტი - ქონების დაზღვევაზე, 9,1 პროცენტი - სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე, 7,7 პროცენტი - სიცოცხლის დაზღვევაზე, 1,6 პროცენტი - უბედური შემთხვევის დაზღვევაზე, ხოლო დანარჩენი (28,6 პროცენტი) სხვა სახის დაზღვევაზე ნაწილდება.

2019 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ დამდგარი სადაზღვევო ზარალი (ბრუტო) 522,0 მლნ. ლარით განისაზღვრა, რომლის 48,6 პროცენტი ქონების დაზღვევაზე მოდის, 36,3 პროცენტი - სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე, 2,8 პროცენტი - სიცოცხლის დაზღვევაზე, 2,3 პროცენტი - სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე, 0,1 პროცენტი - უბედური შემთხვევის დაზღვევაზე, ხოლო დანარჩენი (9,9 პროცენტი) სხვა სახის დაზღვევაზე ნაწილდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სადაზღვევო კომპანიების (პირდაპირი დაზღვევის საქმიანობის მიხედვით) მიერ 2019 წელს გამომუშავებული პრემია (ბრუტო) და დამდგარი სადაზღვევო ზარალი (ბრუტო) დაზღვევის სახეობების მიხედვით:

[2]წყარო: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (“პირდაპირი დაზღვევის” საქმიანობა, სახეობების მიხედვით).

დიაგრამა №2

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია და დამდგარი ზარალი დაზღვევის სახეობების მიხედვით, (მლნ. ლარი)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: dkupatadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge